ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9724361001
თარიღი:26/12/2024

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა N-08

დ.ლენტეხი 19.12.2024წ.

მიმდინარე წლის 19 დეკემბერს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომას ესწრებოდა ბიუროს 11 (თერთმეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა საკრებულოს ბიუროს 7 (შვიდი) წევრი.

სხდომას ესწრებოდა მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი და საკრებულოს აპარატის უფროსი მაყვალა ჩანქსელიანი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიების მიერ სრულყოფილად არის მომზადებული საკრებულოს სხდომაზე გასატანი საკითხები. შესაბამისად კომისიების მომართვებზე დაყრდნობით დაინიშნა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. მან ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N-29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

2.ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ალეკო ონიანის სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მევლუდ

ლიპარტელიანი/

სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა. დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 11

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს სხდომა დასრულდა 12 საათსა და 30 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

გამოყენებულია კვალიფიციური